

გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი N 5

28.12.2022 წ.

ქ.გორი

2022 წლის 28 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეხუთე სხდომა გაიმართა.

შეხვედრა წარიმართა ონლაინ ფორმატში, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შეხვედრის დაწყების დრო 19:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. დარეჯან მურადაშვილი
2. ზაურ საგანელიძე
3. ნანა ტერმაკოზაშვილი
4. ზურაბ ზურაბაშვილი
5. მარი მღებრიშვილი
6. ნინო გიორგაძე
7. თინა ბრეგვაძე
8. თამარ კაპანაძე

დღის წესრიგი:

- I. მრჩეველთა საბჭოს მიერ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციებზე მიღებული უკუკავშირის გაცნობა/განხილვა;
- II. მოსახლეობისაგან შემოსული ინიციატივებისა და გამოწვევების გაცნობა/განხილვა
- III. საბჭოს მუშაობის შეჯამება და 2023 წლის სამოქმედო გეგმების განხილვა
- IV. მომდევნო საბჭოს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის განსაზღვრა.

მომხსენებელი: მრჩეველთა საბჭოს მდივანი - თამარ კაპანაძე

საბჭოს წევრებმა შეხვედრის დაწყებამდე ღრმა მწუხარება გამოხატეს, საბჭოს წევრის იოსებ ალიმზარაშვილის გარდაცვალების გამო. მის მიერ საბჭოსთვის წარდგენილი ბოლო ინიციატივის, რომელიც ქალაქში ქუჩების სახელდებას უკავშირდებოდა, იქნება ერთ ერთი პრიორიტეტული საკითხი საბჭოს საქმიანობის უახლოეს გეგმებში.

თამარ კაპანაძე - მრჩეველთა საბჭოს სხდომა გახსნა საბჭოს მდივანმა თამარ კაპანაძემ, მიესალმა შეხვედრის მონაწილეებს და გააცნო დღის წესრიგი.

- I. საბჭოს წევრებმა განიხილეს მერის პასუხი მათ მიერ წარდგენილ რეკომენდაციებზე. მრჩეველთა საბჭოს მიერ მიწოდებული **8 (რვა) რეკომენდაციიდან**: კეთდება 4. მუშაობა მიმდინარეობს 1-ზე და 3 გათვალისწინებული იქნება უახლოეს პერიოდში.

მრჩეველთა საბჭოს მიერ რეკომენდაციები წარდგენილ იქნა ნოემბრის თვეში, მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის დროს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მეტად მნიშვნელოვანია რეკომენდაციების გათვალისწინება-შესრულება, ვინაიდან წარდგენილი ინიციატივები მოსახლეობიდან მოდის და შემდგომში აისახება მუნიციპალიტეტის განვითარებაზე, ასევე საბჭოს წევრების საქმიანობის მოტივაციაზე.

დაკო მურადაშვილი - საბჭოს მუშაობის შედეგზე: მერისთვის წარდგენილი რეკომენდაციების შესრულება/გათვალისწინების შესახებ, აღნიშნა, რომ ურთიერთთანამშრომლობა შედგა. ის ცვლილება, რაც დებულებაში იქნა შეტანილი მიღებულია მერიის მიერ, კერძოდ ის რომ მრჩეველთა საბჭოს მიერ წარდგენილ რეკომენდაციებზე ყოფილიყო დროული უკუკავშირი მიღებულ იქნა, ყოველთვიურად მიეწოდება მერს რეკომენდაციები, შესაბამისად შეიქმნება სტატისტიკა იმისა რა შედეგი დადგა.

შესაძლებელია საბჭოს წევრები შეხვდნენ იმ ქუჩების მაცხოვრებლებს, რომელი ქუჩის სახელწოდების შეცვლაც ასახულია რეკომენდაციებში. ეს არის: ქარხნის, გმირების, სკვერის, ჩოდრიშვილის ქუჩები.

- II. საბჭოს წევრებმა განიხილეს ფეისბუქ გვერდზე მოსახლეობის მხრიდან შემოსული საკითხები და გადაწყვიტეს მიეწოდოს ინფორმაცია მერიას და არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს აღნიშნულ საკითხებზე რეაგირება:

- *უმორჩილესად გთხოვთ მოგვარდეს ქალაქში მაწანწალა ძაღლების პრობლემა, ისევ დაიარებიან ჯოგებად. 2. გორის ციხის რეაბილიტაციის საკითხი რომელზეც ძალიან მიბმულია შიდა ქართლის განვითარების პერსპექტივა*
- *სხირელის საჭიდაო დარბაზის მიმდებარედ არის სტადიონი, რომლის ტერიტორიაზეც არის შენობა, სადაც არის სრული ანტისანიტარია. აღნიშნული შენობაში იკრიბებიან არასრულწლოვანი პირები, და არის საფრთხის შემცველი. არაერთხელ მოხდა ამ შენობის რეაბილიტაცია, მაგრამ ზედამხედველის არარსებობის გამო ისევ ძველ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ყველგან დაამონტაჟეს მეტალოპლასტმასის კარები და ადვილად დააზიანეს. თუ მერიას სურს ამ შენობის არსებობა, მაშინ მოახდინოს რეაბილიტაცია და დანიშნოს ამ შენობის და სტადიონის მოვლაზე პასუხისმგებელი პირი. რადგან ამჟამად ბავშვების უსაფრთხოება დაცული არ არის.*

- *არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე „ვეიქრობ“ ერთ-ერთი აქტუალური თემაა მე-6 სკოლასთან დამონტაჟებული დაძინებული ვიდეოკამერის მსგავსი კამერების გაცოცხლება და კიდევ ბევრ ადგილზე დამონტაჟება.*

მარიკა მღებრიშვილი - აღნიშნა, რომ გორში რუსთაველის ქუჩა მჭიდროდ დასახლებული ქუჩაა, სადაც მდებარეობს "საზოგადოება ბილიკი", მე-6 საჯარო სკოლა და შესაბამისად აღნიშნული ქუჩა გამოირჩევა ბავშვების სიმრავლით. მე-6 საჯარო სკოლა ასევე ემსახურება მე-11 საჯარო სკოლას და ამ ქუჩაზე მთელი დღე გვიანობამდე გადატვირთული მოძრაობაა.

რუსთაველის ქუჩა ასევე ძალიან ძველი და ვიწრო ქუჩაა, რომელიც არ არის ადაპტირებული ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობისთვის და ორმხრივი პარკირებისთვის. სკოლის, ორგანიზაციის თუ რუსთაველის ქუჩის მაცხოვრებელთა სატრანსპორტო საშუალებების პარკირება, ისედაც ვიწრო ქუჩას, უფრო აპატარაებს სავალ გზას და ორმხრივად მოძრაობის შემთხვევაში ყოველდღიურად ავტოავარიის საფრთხეს ქმნის. ამ ქუჩაზე რეალურად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევებიც, რომლის შესახებაც ვერაფერს ვერ იგებს. აღნიშნული ქუჩა არც ფეხით მოსიარულისთვის არის უსაფრთხო, რადგან როგორც აღვნიშნე, ბავშვების სიმრავლით გამოირჩევა.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ვიწრო სატრანსპორტო გზას ორივე მხარეს მარცხნივ და მარჯვნივ სიგრძეზე გასდევს ღია, საკმაოდ ღრმა სანიაღვრე არხი და ორმხრივი სატრანსპორტო მოძრაობის დროს სავალი გზის სივიწროვის გამო არაერთი მანქანა ჩავარდნილა არხში.

სასურველია შესაძლებლობის ფარგლებში ჩაერთოს შესაბამისი სამსახურები თუ უწყება და გორში, რუსთაველის ქუჩაზე სატრანსპორტო მოძრაობა გახდეს ცალმხრივი, მოეწყოს საპარკინგე ზოლი, ხოლო სანიაღვრე ღია არხები დაიფაროს რკინის საფარით, როგორც ეს ჩვენი ქალაქის სხვა ქუჩებზეა მოწყობილი.

III. **დაკო მურადაშვილი** : 2022 წლის განმავლობაში საბჭოს საქმიანობის განხორციელებულ აქტივობებს შორის არის:

მუნიციპალურ ტრანსპორტთან დაკავშირებული საკითხებზე მუშაობა;

მოსახლეობის გამოკითხვა ქალაქში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით;

საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანა;

მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის საკითხებზე მუშაობა;

არსებული გამოწვევების შესწავლა და დღის წესრიგში დაყენება;

2023 წლისთვის მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხების მუდმივი მონიტორინგი, საბიუჯეტო პროცესებში დროული ჩართვა, საბჭოს წევრების შესაძლებლობების გაძლიერება და მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, მოსახლეობასთან გასვლითი შეხვედრები და საბჭოს ცნობადობის გაზრდა.

დამატებითი საკითხები:

ზაურ საგანელიძე - გორში მრავალი ქუჩაა, რომელსაც არა აქვს დასახელება და ნუმერაცია, ასევე პრობლემურია პარკირების საკითხი, რადგანაც ზოგიერთ ქუჩაზე სამანქანო გზის ორივე მხარეს პარკირებულია ავტომანქანები და არ არის მანქანის გასავლელი ადგილი.

გორში, სადგურის დასახლებაში, სოფელ ატენისკენ მიმავალ გზაზე მოსაწყობია ლამპიონები.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სახელით გაკეთდეს მოსახლეობის გამოკითხვა სოციალური პლატფორმის მეშვეობით, თუ რომელ ქუჩებზეა ზემოთ აღნიშნული და მსგავსი პრობლემები. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით მოხდეს ქუჩების შესწავლა. საბჭო მოახდენს გამოკითხვას და მიაწვდის მერიას შესაქამის ინფორმაციას.

მოხდეს იმ ქუჩების შესწავლა, სადაც ორმხრივი მოძრაობაა, მათი განტვირთვის მიზნით გადაიხედოს მოძრაობის წესები.

იანვრის თვეში მოწვეულ იქნეს მერიის წარმომადგენელი, შედგეს შეხვედრა შესაბამის კომპეტენტურ პირებთან და შემუშავდეს რეკომენდაცია.

რეკომენდაცია - მოხდეს იმ ქუჩების შესწავლა, რომელსაც არ გააჩნია აბრები და ნუმერაცია. ეტაპობრივად მოხდეს მერიის მხრიდან აღნიშნული საკითხის მოწესრიგება. გორში სადგურის დასახლებაში მოეწყოს გარე განათება.

თამარ კაპანაძე - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა აღსრულებადი, რომ იყოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამატებით სხვადასხვა ტიპის სამუშაოები და პროცედურებია გასავლელი. კერძოდ შესაძენია დამატებითი კვლევები. საფრთხე ექმნება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, მოსახლეობისათვის განვითარების არათანაბარი პირობებისა და საფრთხის შემცველი გარემოს შექმნას, ქალაქის იერსახის დამახინჯებას, ქალაქის ქაოტურად განვითარებას, საფრთხის ქვეშ დგება მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოში ცხოვრების უფლება.

დაადგინეს/გადაწყვიტეს:

ვინაიდან გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა დამტკიცების მოლოდინშია, შეცდომებისა და რისკების, ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, რათა არ მოხდეს ქალაქისათვის ზიანის მიყენება ყოველივე აქედან გამომდინარე საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ხმათა უმრავლესობით შეჯერდა შემდეგ რეკომენდაციაზე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

რეკომენდაცია - გამოცხადდეს მორატორიუმი გორის ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი და მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი შენობა ნაგებობების მშენებლობაზე, გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებამდე.

თინა ბრეგვაძე - სოფელ ოთარშენს ბოლო თვეების განმავლობაში წყალი ძალიან შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. წყალი აუზში გროვდება და სასმელად უვარგისია, სასმელი წყალი მოსახლეობას გორიდან მიაქვს.

რეკომენდაცია - შესაძლებლობის ფარგლებში მოხდეს სოფელ ოთარშენში სასმელი წყლის მიწოდების მოწესრიგება.

დაკო მურადაშვილი - აღნიშნა, რომ მოსახლეობის ჩართულობის, საბჭოს მექანიზმის ეფექტურობის გაზრდის მიზნით სასურველია საბჭოს წევრების დამატება. საბჭოს წევრებმა ისაუბრეს რაოდენ მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ფართო ჩართულობა საზოგადოებრივი საკითხების მართვაში და გადაწყვიტეს გაიცეს

რეკომენდაცია - მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაემატოს წევრები, რომლებიც მოწადინებული იქნებიან აქტიურად ჩაერთონ საბჭოს საქმიანობაში.

დაკო მურადაშვილი - შეაჯამა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეხუთე სხდომა. მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებსა და მომხსენებლებს აქტიური ჩართულობისათვის და 2023 წლისთვის საბჭოს მეტი აქტიურობა უსურვა.

საბჭოს #6 სხდომა გაიმართება 2023 წლის იანვრის თვეში.

საბჭომ მუშაობა დაასრულა 21 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

დარეჯან მურადაშვილი



დანართი 1. რეკომენდაციები

"გორის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის, მისი შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის №20.202215114 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ასევე მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება შემდეგი რეკომენდაციების შესახებ:

- I. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას მოხდეს იმ ქუჩების შესწავლა, რომელსაც არ გააჩნია აბრები და ნუმერაცია. ეტაპობრივად მოხდეს მერიის მხრიდან აღნიშნული საკითხის მოწესრიგება.
- II. რეკომენდაცია მიეცეს გორში სადგურის დასახლებაში მოეწყოს გარე განათება.
- III. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერიას, მოხდეს ოთარშენში არსებული წყლის მიწოდების საკითხის შესწავლა და მოგვარება.
- IV. შეცდომებისა და რისკების, ხარვეზების თავიდან ასაცილებლად, რათა არ მოხდეს ქალაქისათვის ზიანის მიყენება გაიცეს რეკომენდაცია გამოცხადდეს მორატორიუმი გორის ცენტრალურ უბნებში მრავალსართულიანი და მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი შენობა ნაგებობების მშენებლობაზე. გორის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო დამტკიცებამდე.
- V. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაემატოს ახალი აქტიური წევრები.
- VI. რეკომენდაცია მიეცეს გორის მუნიციპალიტეტს შეისწავლოს რუსთაველის ქუჩაზე არსებული საგზაო უსაფრთხოების მდგომარეობა და მოხდეს სესაბამისი რეაგირება.